დანართი

# თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამა

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის ამოცანა:** „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 2026 წლის 14 იანვრიდან - 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

3. **პროგრამის ბიუჯეტი :** 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო** :თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

## მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს საყოფაცხოვრებო ტექნიკის , ჰიგიენური საშუალებების, მედიკამენტის, სამ წლამდე ბავშვთა კვების პროდუქტების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

## მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ შვილი/შვილები (0-18 წლის ჩათვლით)

დ) ობოლი შვილები (0-18 წლის ჩათვლით);

ე) ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები;

ზ)სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები , რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;

**მუხლი 4. დაფინანსება**

ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000(ათასი) ლარის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

**მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი**

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან/და საჭიროებების შეფასების(სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას;
3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს;

**მუხლი 6 . დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია**

ა) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა/მოწმობები;

ბ) მშობლის/ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

ვ) სოციალურად დაუცველი მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე